

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გადაცემული ქონება

“სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 302 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად გაცნობებთ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარგებლობის უფლებით გადასცა:

- სააგენტოს უფროსის 2013 წლის 29 მაისის N114-9 ბრძანებითა და 2013 წლის 14 ივნისის გაფორმებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით ქ. მარნეულში სურსათის ეროვნული სააგენტოს ბალანსზე რიცხული ახალი ოფისის მე-2 სართულზე განთავსებული სათათბირო დარბაზი (ფართობი 37.00 კვ.მ; საკ/კოდი N 83.02.21.179 N2 შენობა);
- სააგენტოს უფროსის 2013 წლის 18 ივნისის N132-9 ბრძანებითა და 2013 წლის 1 ივლისის გაფორმებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით ქ. გურჯაანში სურსათის ეროვნული სააგენტოს ბალანსზე რიცხული ახალი ოფისის მე-2 სართულზე განთავსებული სათათბირო დარბაზი (ფართობი 37.00 კვ.მ; საკ/კოდი N 851.01.60.117);
- სააგენტოს უფროსის 2013 წლის 18 ივნისის N 132-9 ბრძანებითა და 2013 წლის 1 ივლისის გაფორმებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით ქ. ბორჯომში სურსათის ეროვნული სააგენტოს ბალანსზე რიცხული ახალი ოფისის მე-2 სართულზე განთავსებული სათათბირო დარბაზი (ფართობი 37.00 კვ.მ; საკ/კოდი N 64.23.04.173);
- სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2013 წლის 25 ივნისის N 136-9 ბრძანების საფუძველზე უსასყიდლოდ, უვადო სარგებლობის ფორმით გადასცა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეროვნული სააგენტოს ბალანსზე რიცხული სერვერული ტექნიკა ღირებულებით 81 260.55 ლარი.